ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინსტრუქცია

**დეკრეტთან პრემიალურ ჯილდოს შესახებ, იმ პირთათვის, რომელთაც განსაკუთრებული ენერგია გამოიჩინეს სის. სამ. ბოროტ-მოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლაში (დადგენილება № 129, რომელიც გამოქვეყნებულ იყო გაზ. „გრუზია“-ში № 263, 1922 წ. 14 1).**

§ 1. პრემიალური ჯილდო გაიცემის განსაკუთრებულ ფონდიდან, გადადებულიდან სპეციალურად ამ მიზნისათვის, შინაგან საქმეთა კომისარიატის განკარგულებაში.

§ 2. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ბოროტმოქმედებათა გახსნისათვის, რომელნიც არ არიან დაკავშირებულნი ნივთიერ ინტერესებთან, პრემიალური ჯილდო მიეცემათ თანახმად § 1 № 129 დეკრეტისა.

§ 3. პრემიალურ ჯილდოდ მიეცემა, აღმოჩენილ ქონების ღირებულობის 5 პროცენტი.

§ 4. აღმოჩენილ ნაქურდალის შეფასებას ახდენს ადგილობრივ მილიციის უფროსის მიერ დანიშნული კომისია, მუშათა და გლეხთა ინსპექციის (ან და ადგილობრივ აღმასკომის) და სის. სამ. მილ. წარმომადგენლის თანდასწრებით და კომისიის შემადგენლობისა და შეფასების აქტის ბრძანებაში გამოცხადებით.

§ 5. ის პირნი, რომელნიც სათანადო წესით არიან რეგისტრაციაში გატარებულნი შინაგან საქმეთა კომისარიატის სამილიციო განყოფილების სის. სამ. მამ. ქვე-განყოფილებაში, მაგრამ შტატში არ არიან და ჯამაგირს არ ღებულობენ ხაზინიდან, ყველა მათ მიერ აღმოჩენილ ბოროტ-მოქმედებისათვის ღებულობენ პრემიალურ ჯილდოს ამა ინსტრუქციის § 3-ში აღნიშნულ რაოდენობით.

§ 6. ის პირნი, რომელნიც მუშათა და გლეხთა მილიციის შტატში არიან ჩარიცხულნი და ღებულობენ ჯამაგირს ხაზინიდან, პრემიალურ ჯილდოს მიიღებენ იმ ბოროტ-მოქმედების გახსნისათვის რომელნიც აღემატებიან ნორმით დადებულ რიცხვს. ნორმად, რაზედაც არ მიეცემათ პრემიალური ჯილდო, მიჩნეულია გახსნილ ბოროტ-მოქმედებათა 30 პროც. იმ რიცხვიდან რომლებსაც ადგილი ჰქონდათ განსაკუთრებულ რაიონის საზღვრებში (ქალაქების, მაზრების და რკ. გზ.) ს ოპერაციო თვის განმავლობაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

§ 7. თუ ოპერატიულ დროის განმავლობაში გახსნილია 30% მეტი ბოროტ-მოქმედ. საერთო რიცხვისა, პრემიალური ჯილდო განაწილდება შემდეგ ნაირად: იმის და მიხედვით, თუ რამდენი საერთო თანხაა, პრემიალურ ჯილდოსი და რიცხვი გახსნილ ბოროტ-მოქმედებათა, საოპერაციო ხნის განმავლობაში. გამოირკვევა პრემიის საშუალო ციფრი თითეულ გახსნილ ბოროტ-მოქმედებაზე, 30% გახსნისთვის პრემია არ მიეცემა და დანარჩენი თანხა განაწილდება პერსონალურად, გახსნილ ბოროტ-მოქმედებათა რაოდენობის მიხედვით.

§ 8. იმის გამოსარკვევად, თუ რა მონაწილეობა მიუძღვის თანამშრომელს ბოროტ-მოქმედების გახსნაში, მას ეძლევა საკონტროლო ფურცელი (თანდართული ფორმა № 1).

**შენიშვნა:** იმ პირთა საკონტროლო ფურცელის ფორმა, რომელნიც შტატში არ ირიცხებიან და ხაზინიდან ჯამაგირს არ ღებულობენ, გამოცხადებულია განსაკუთრებულ ინსტრუქციაში, რომელიც გამოცემულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიდან.

§ 9. საკონტროლ ფურცლები ეძლევა მაზრისა და ქალაქის მილიციის უფროსებს პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ, თანამშრომელთა რიცხვის მიხედვით, თვის პირველ რიცხვში—ერთი თვით, რომლის გავლის შემდეგ, არა უგვიანეს ყოველი თვის ათი რიცხვისა უნდა წარმოუდგინონ შევსებული შინაგან საქმეთა კომისარიატის სამილიციო განყოფილების სის. სამ. მაძებარ ქვე-განყოფილებას.

§ 10. ყოველივე დავალება ბოროტ-მოქმედების გახსნის შესახებ, უნდა ჩაწერილი იქმნას თანამშრომლის პირად საკონტროლო ფურცელში, იმ პირის მიერ, ვისგანაც გამოდიოდა დავალება, ჩაწერით საკონტროლო ფურცლის სათანადო ხაზში, დავალების მიცემის დროისა და ინფორმაციის წყაროსი, თუ ასეთს ადგილი ჰქონდათ დავალების მიცემის დროს.

**შენიშვნა:** ინფორმაციის წყაროდ ჩაითვლება ის პირი, რომელმაც პირველად მისცა ცნობა ბოროტ-მოქმედების შესახებ, ბოროტ-მოქმედების გზით შეძენილ ნივთების, ან ბოროტ მომქმედ პირადობის და საცხოვრებელ ადგილის შესახებ.

§ 11. ის პირი, რომელიც უშუალოდ თვალყურის მდევნელია, დავალების (მუშაობის მსვლელობისა) შესრულებისა, საკონტროლო ფურცელის სათანადო ზოლში ყოველკვირეულად აკეთებს აღნიშნვას მის შესახებ, თუ რა გააკეთა თანამშრომელმა ერთ კვირაში, მინდობილ საქმის შესახებ, აგრეთვე თუ არაფერია გაკეთებული ამ ხნის განმავლობაში, ზოლში, სათანადო რიცხვის პირდაპირ აღნიშნავს „არაფერი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

§ 12. ის პირი, რომელიც თვალყურს ადევნებს, თანამშრომელს დავალებულ საქმის მუშაობაში, აღნიშნავს სათანადო ზოლში დავალების დასრულების დროს და ხელს აწერს მიღებულ საქმის შესახებ ყველა ამწურვითი ცნობებს, ან წარმოების მიღებაში, ასეთივე ხელწერილები, იმავ ზოლში ხელმოწერით უნდა მისცენ ყველა იმ თანამდებობის პირებმა, რომელნიც მიიღებენ საკონტროლო ფურცლებს.

§ 13. სის. სამ. მილ. მამ. განყ. უფროსები აღნიშნავენ საკონტროლო ფურცლის სათანადო ზოლში, სად, როდის და რა № გაიგზავნა საქმე, აღმოჩენილ ნივთების შენახვის ადგილს და შეფასების საერთო თანხიდან 5 პროც. გამოანგარიშებით, საკონტროლო ფურცელს დაერთვის აღმოჩენილ ნივთების შემფასებელი კომისიის აქტის დედანი.

§ 14. საკონტროლო ფურცლის სათანადო ზოლში უნდა აღინიშნოს ინსტრუქტორის რეზოლიუცია, რომელიც თვალყურს ადევნებდა თანამშრომლის მუშაობას, მიცემულ დავალებაში, მისი აზრის გამოთქმით—იმსახურებს თანამშრომელი პრემიას ვრცლად თუ, მხოლოდ მარტო ნაწილს; განყოფილების უფროსის რეზოლიუცია შუამდგომდგომლობით, პრემიის მისჯის შესახებ და შინ. საქმეთა კომისარიატის სამილიციო განყოფილების სის. სამ. მამ. ქვე-განყ. უფროსის რეზოლიუცია არსებითათ აღძრულ შუამდგომლობის შესახებ.

§ 15. საკონტროლო ფურცლების განხილვას ახდენს შინ. საქ. კომისარიატის სამილიციო განყ სის. სამ. მამ.ქვე-განყ. განსაკუთრებული კომისია, რის შემდეგ პრემიალური ჯილდო მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ აღიძვრის არავითარი ეჭვი პასუხისგებაში მიცემულ პირის დამნაშავობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. ეჭვის დროს ჯილდო მიეცემა მხოლოდ სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ, თუ პასუხისგებაში მიცემულნი პირნი მიჩნეულ იქნებიან დამნაშავეთ.

§ 16. თანამშრომელი, რომელიც შემჩნეული იქნება წინასწარ განზრახვ თ ბიროტ-მოქმედების გარემოების შექმნაში, პრემიალურ ჯილდოს მიღების მიზნით, დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქმნება სამსახურიდან და გარდაეცემის სასამართლოს.

ს. ს. ს. რესპუბლიკის მილიციის უფროსი **კ. რატიშვილი.**

პოლიტკომი **ზ. ტრაპაიძე.**

ცენტრ. სისხ. სამ. მამებ. განყოფ.

უფროსი **კ მელვინეთ-უხუცესი.**